

### პოლიტიკა

#### რუსეთი ქართველებსგან მალულად ელაპარაკება აფხაზეთს

ქართველი დიპლომატიები კატეგორიულად სულაც არ არიან აფხაზეთის წარმომადგენლის მოლაპარაკებებში ჩართვის მიმართ, თუკი, მათი თქმით, ეს საერთო საქმეს წაადგება.

A2

### ეკონომიკა

#### მთავრობა საქართველოს დისკრედიტაციას ცდილობს

თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დიდი ხმაური გამოიწვია ნაციონალური მოძრაობის წევრის კობა ბეჟაურის წინადადებაზე, რომელიც “თბილგაზის” საბიუჯეტო ვალდებულების დასაფარავად 5 მილიონი ლარის ოდენობის სესხის აღებას შეეხება. ბეჟაურის თანაფრატული რომან გოციონიძე მიიჩნევს, რომ საკრებულო ჩართული აღმოჩნდა ე.წ. “პრაკრუტების” მეთოდის გამოყენებაში.

A4

### უსხოეთი

#### ტარიტორიულ მიტინგთან მხროლვე ექვტარნი მთავრობა აღადგინს

“24 საათის” სტუმრია აზერბაიჯანის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ალიევის ყოფილი თანაშემწე საჰინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ულდარ ნაშაოვი.

A5

### საზოგადოება

#### “პირიზის” მოგავალი ბუნდოვანია

სააქციო საზოგადოება “პირიზის” აქციონერებმა გუშინ პირველი გამაფრთხილებელი აქცია მოაწყვეს. ისინი შენობის მეზობელი და შეექმსე საართულებს გაყიდვას აპროტესტებენ. აქციონერები აუქციონის შედეგების გაუქმებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შიმშილობით იმუქრებიან.

A6

### სამართალი

#### შინაგანი ტარი საპატიმრო დაწესებულებების დასაცავად ტარი მზად არ არის

შინაგანი ჯარების მთავარსარდალი გიორგი შერვაშიძე ვარაუდობს, რომ შინაგანი ჯარები სასჯელსადასრულებლის დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებების დაცვის უზრუნველყოფას მხოლოდ უახლოესი სამი თვის შემდეგ შეძლებენ.

A7

### ანიმე

თბილისი	27	☀
ქუთაისი	24	☀
ბათუმი	21	☁
სოხუმი	22	☀
ფოთი	22	☀
თელავი	26	☀
ზუგდიდი	24	☀
ბორჯომი	23	☀
ახმეტა	26	☀
ჭიათურა	26	☀

#### უსხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.5572
გირვანქა სტრლინიგი	3.5997
რუბლი	0.0706

## თავაზი რიცხვებით

უშედეგო კონსულტაციათა სერია გრძელდება

თამარ მჭედლიძე

რაც უფრო ცოტა დრო რჩება არჩევნებამდე, მით უფრო რეალურია იმის საშიშროება, რომ პარლამენტი საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს არ შეცვლის და

არჩევნებს დღეს მოქმედი საარჩევნო კომისიები ჩაატარებენ. გარდა ამისა, გაცხოველებული (ამის მოუხედავად, მაინც წარუმატებელი) ვაჭრობების გამო, კოდექსში ის ცვლილებებიც ვერ შედის, რომელიც სახელისუფლო

ბაზრძილაბა A3 გვირგვინი

## არჩევნები და მდღია

ევროსაბჭოს ხალისიანი ექსპერტები და გამცდენი ქართველი პოლიტიკოსები

ლელა მჭედლიძე

ჩვენს პოლიტიკოსებს, პარლამენტის სხდომებისა არ იყოს, გუშინ დიდად არც ევროსაბჭოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სემინარზე დასწრებით შეუზღუბებიათ თავი. სემინარის თემა “არჩევნების პერიოდში მდგომარეობის პოლიტიკოსები” იყო, მონაწილე სტუმრების სია კი - საკმაოდ გრძელი. საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფიდან გუშინ სასტუმრო “სიმპათიაში” მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე “სოციალისტი” ზაქარია ქუცნაშვილი და “ალიანსიდან” ვალერი გელბახიანი გამოცხადდნენ.

მიუხედავად ქართველი პოლიტიკოსების უგულვლადობისა, უცხოელი ექსპერტები სიამოვნებით საუბრობდნენ წინასაარჩევნო პერიოდში პრესის როლსა და გავლენაზე და დასტურად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებიც მოპოვდათ. ეს რეკომენდაციები, რასაკვირველია, სავალდებულო არ არის, თუმცა ქუცნაშვილს გუშინ მათი ნაწილის საკანონმდებლო დონეზე დანერგვის სურვილი გაუჩნდა. მაგალითად - უფასო რეკლამასთან დაკავშირებით. “ამა თუ იმ კერძო

ბაზრძილაბა A3 გვირგვინი



ევროპულ ექსპერტებს მუშაობაში ხელი ვერ შეუშალა ქართველ პოლიტიკოსთა გულგრილობამ.

## ლონდონში ტონი ბლერის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

ლევან დირსიაშვილი

დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში დღითი დღით მწვავედება ოპოზიციური ჯგუფების მიერ დასმული საკითხი, თუ რამდენად სამართლიანი იყო მათი მთავრობების გადაწყვეტილება ერაყში სამხარო კამპანიის დაწყების შესახებ. საქმე ის არის, რომ ერაყში დღემდე არ არის აღმოჩენილი მასობრივი განადგურების იარაღი, რომლის არსებობაც და მისგან გამოწვეული საფრთხეც ერაყში ომის დაწყების უმთავრეს საბაზს წარმოადგენდა.

გუშინ ლონდონში ამ საკითხის გამოიჭიბა ოფიციალურად დაიწყო. გამოიჭიბის ძირითადი მიზანია, დაადგინოს შემდეგი: შეიყვანა თუ არა მთავრობამ შეცდომაში ქვეყნის პარლამენტი, რათა ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყების აუცილებლობაში დაერწმუნებინა. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევას გაივლის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის საყოველთაოდ ცნობილი დოსიე, რომელიც დიდი ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის მონაცემებზე იყო დაფუძნებული. დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნად იყო ნათქვამი, რომ სადამ ჰუსეინის გააჩნია მასობრივი განადგურების არსენალი, რომლის ამოქმედებაც 45 წუთში შეუძლია.

ბაზრძილაბა A5 გვირგვინი



შემოტრიალდება თუ არა საბედისწეროდ ტონი ბლერს ერაყის ომში გამარჯვება?

## ტრაფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა - სიტყვიდან საქმედ დიდი მანძილია

თამარ ქაშიტაძე

გუშინ “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში” სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრაფიკინგის განყოფილების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ ერთად უნდა ემს-

ჯვლათ იმ მიზეზებზე, რის გამოც ქვეყნის იმიჯი კიდევ უფრო დაეცა, ანუ საქართველომ ტრაფიკინგთან ბრძოლაში, მიმდინარე წელს, მეორე კატეგორიიდან მესამე კატეგორიის ქვეყნებში გადაინაცვლა.

არადა, როგორც სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები აღნიშნავენ, წინა წლებით-

ან შედარებით, გასულ წელს აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად პირველი ნაბიჯები აშკარად გადაიდგა. ჯერ ერთი - პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში ტრაფიკინგის შესახებ ცვლილებები შეიტანა, ანუ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს.

ბაზრძილაბა A7 გვირგვინი

## ეუთო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაზე უარს ამბობს

თამარ ხორბალაძე

გუშინ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს დირექტორს, ავსტრიელ ელჩს კრისტიან შტროპალს ქართველ უზრუნველყოფის საუბრისას ორჯერ მოუხდა იმის განმარტება, რომ: “ეუთო-ს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება არ იქნება მართებული, რადგან ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს”.

ასეთი განცხადება ელჩმა ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტთან გამართული დახურული შეხვედრების შემდეგ გააკეთა.

საინტერესოა, რომ კრისტიან შტროპალმა, ეუთო-ს წარმომადგენელთა ცესკო-ს დაკომპლექტების მიზანშეუწონლობაზე გაკეთებული განცხადების მოუხედავად, სურვილი გამოთქვა, გაარკვიოს, თუ რატომ სურს ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეუთო-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტება და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეუთო საარჩევნო ადმინისტრაციას არ აკომპლექტებს...

კრისტიან შტროპალმა ამჟამინდელი ვიზიტის ძირითად მიზნად საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაციის გაცნობა დასახელა. “ჩვენ ამ ვიზიტის დროს უნდა დავაღწიოთ ეუთო-ს არჩევნებში მონაწილეობის მასშტაბი,” - განაცხადა მან.

მან აღნიშნა ისიც, რომ პრეზიდენტისაგან მიიღო ინფორმაცია, თუ როგორ ემზადება საქართველო დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, როგორია ეკონომიკური ვითარება.

ვიზიტის განმავლობაში დავეგმილი გახლავთ შეხვედრები პარლამენტის სპიკერთან - ნინო ბურჯანაძესთან, სახალხო დამცველთან - ნანა დევედარიანთან და ოპოზიციური პარტიების ლიდერთან.

კრისტიან შტროპალი საქართველოდან დღეს გაემგზავრება, თუმცა საქართველოში 24 ივნისამდე მუშაობას გააგრძელებს მისი სპეციალური მრეწველი და ბიუროს არჩევნების სექციის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც კარგად იცნობენ რეგონს.

## ახალი იდეა - მერი საქრებულომ აირჩიოს

მარაბ მთქრაველი

თბილისის საკრებულოს ფრაქცია “გაერთიანებული კონსერვატორები” ახალი იდეით გამოდის. მისი წევრები ითხოვენ, თბილისის მერი საქრებულომ აირჩიოს. აქამდე ამ საკითხზე ორი პოზიცია არსებობდა: ერთი მერის დანიშვნას უჭერდნენ მხარს, მეორენი - მის პირდაპირ, ხალხის მიერ არჩევას. “კონსერვატორების” იდეა რაღაც შუალედურია ამ ორ პოზიციას შორის.

ფრაქციის ლიდერს, გიორგი ტაბიძეს სურს, რომ მისი ეს ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილებებთან ერთად განიხილოს. საამისოდ იგი უკვე მოსახლეობაში ხელმოწერებსაც აგროვებს. თუმცა, ამ იდეის განხორციელებას საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდება. მთავარია, ცვლილება “დედაქალაქის შესახებ” კანონში შევიდეს. ამიტომ, ტაბიძეს საკანონმდებლო ინიციატივისთვის ოცდაათი ათასი ხმაც ჰყოფნის. ხმების შეგროვების პარალელურად, იგი პოლიტიკურ ჯგუფებთან კონსულტაციებზეც ანაზღაურებს. ტაბიძე სააკაშვილს უკვე შეხვდა და, როგორც თავად ამბობს, მისგან “ზოგადი თანხმობა” მიიღო. ანუ, სააკაშვილი მერის არჩევითობას დაეთანხმა, თუმცა, საკრებულოს მიერ მისი არჩევა დიდად არ ეპიტნავა. ყოველ შემთხვევაში, ტაბიძე ასე ამბობს. კულუარებში კი ეჭვი განჩადა, რომ ეს იდეა, საერთოდ, სააკაშვილისაა და ტაბიძე, უბრალოდ, მას ახმოვანებს.

რაც შეეხება დღევანდელ მერს, ვანო ზოდელავას, იდეას ისიც ზოგადად ემხრობა. “შე მიმაჩნია, რომ დედაქალაქის მერი მოსახლეობის მიერ უნდა იყოს არჩეული.”

ბაზრძილაბა A2 გვირგვინი

# კმარა... უზუქობა!

მაია არსიაზილი

გუშინ რუსთავის ცენტრალური გზა ქალაქის მოსახლეობას ოთხი საათის განმავლობაში ჰქონდა გადაკეტილი. ისინი ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენას ითხოვდნენ.

**“ექვსი დღეა, შუქი არ გვაქვს. ერთი საათით მაინც მოგვანოდონ, წყლის აღება რომ შევძლოთ. აბა, თვითონ ზიდონ მეცხრე საათულზე ვედროთი წყალი,”** - მოპიკეტეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ მათ დახარჯული ელექტროენერჯის საფასური გადახდილი აქვთ, თუმცა “რელასის” მონაცემთა ბაზაში ეს შენატანები დაფიქსირებული არ არის.

**“მოსახლეობის უმრავლესობა დენის გადასახადს იხდის. “რელასი” არ გადაამხდევებს შუქს არ უთიშავს და შემდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს ყველასთვის ერთნაირად ატარებს. მაგათ კომპიუტერში სხვა მონაცემებია და ჩვენს ქვითრებში სხვა ციფრები წერია. გვაპაიშუნებენ და ეგ არის,”** - აცხადებდნენ ქუჩაში გამოსული რუსთაველები.

მერიისა და “რელასის” წარმომადგენლებმა ხალხთან მოლაპარაკებები დაიწყეს, მაგრამ მათი დაბრუნება ვერ შეძლეს. სანამ უფროსები “საქმებს არჩევდნენ”, ბავშვებმა დრო იხელეთეს და ასფალტი ცარცით “დააბინებურეს”. “კმარა შევარდნაძე! კმარა უშუქობა!” ...

**“რატომ წერ “კმარას”, ვინმემ დაგვალა?”** - კითხვაზე თორმეტობედ წლის ბიჭი პრეტენზიულად პასუხ-

ობს: **“მინდა და ვწერ. რა, არ შეიძლება?! აბა, როდემდე უნდა ვიყო უშუქოდ...”**

მოპიკეტეები მხოლოდ ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენის შემდეგ დაიშალნენ. სავარაუდოდ, მსგავსი აქციები რუსთავეში პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. ამის საფუძველს იძლევა ის დოკუმენტი, რომელიც “რელასს” და გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ახლანდელ მმართველებს შორის გაფორმდა. ეს არის საგარანტიო წერილი, რომლის მიხედვით, რუსთავი იცნის, თუ ყოველდღიურად მ მგავატი ელექტროენერჯის მიიღებს ერთი პირობითი - თუ იქნება 85 პროცენტთან გადახდა. 8 მგავატი მხოლოდ ნახევარი ქალაქისათვისაა საკმარისი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ნახევარი ქუჩაში გამოვა.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში აცხადებენ, რომ მალე ელექტროენერჯის მიწოდება საქართველოს რეგიონებში არსებულ წყალსადენებსაც შეუნყებება, რადგან ენერჯოკომპანიის მიმართ არსებული დავალიანების განსაკუთრებული წილი წყალსადენებზე მოდის. კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, აღნიშნული დავალიანებების დაფარვაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი ხელისუფლებასა და ბიუჯეტს ეკისრება. მათი მონაცემებით, რუსთავის წყალსადენის დავალიანება მილიონ ლარს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ რუსთავის მმართველობა ამ ვალს არ გაისტუმრებს, ქალაქი წყლის გარეშეც დარჩება.

# “რომ მსკოდნოდა, შევარდნაძე ქვეყანას ასე მოაქცევდა, ჩათვლას რომორ დავენარდი”

“ერთობის” კონფერენცია იმერეთში

ბექა სისაური  
კათარინიდან

გუშინ პოლიტიკური გაერთიანება “ერთობის” ლიდერები ჯგუზმერ პატიავილი და ალექსანდრე ჭაჭია ქუთაისში ჩამოვიდნენ, სადაც რეგიონული კონფერენცია ჩატარეს.

პატიავილიმა შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა განცხადება და ოპოზიციას გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მისივე განმარტებით, “ერთობა” ოპოზიციურ გაერთიანებაში შესვლას ივლისში, პარტიის ყრილობაზე გადაწყვეტს. **“თუკი ოპოზიცია არ გაერთიანდა და ხელისუფლებას ერთიანი ძალისხმევით არ შეუტია, ვერაფერს მივაღწევთ,”** - განუცხადა შურნალისტებს პატიავილიმა.

“ერთობის” კონფერენცია კი, რომელზეც პარტიის წარმომადგენლები იმერეთის თითქმის ყველა რაიონიდან იყვნენ შეკრებილნი, საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. “ერთობის” ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დარბაზს თავიდანვე აუხსნა, რომ კონფერენციაზე დროს ფუჭად არ დაკარგავდნენ და მოისმენდნენ **“თუ ვისი ბრალია ყოველივე ის, რაც ჩვენ ვჭირვართ, რა გვეშველება და სად არის გამოსავალი.”**

ერთობის ადგილობრივი ლიდერების გამოხვლის შემდეგ ტრიბუნასთან გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წევრი გივი გურემიძე გაჩნდა. ბატონი გივი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგია და მისი ყველაზე დიდი დამსახურება ედუარდ შევარდნაძის მასწავლებლობაა. მას პოლიტოლოგიაში შევარდნაძისთვის ჩათვალც კი აქვს დანერლო, რასაც ამჟამად ძალიან ნაწიხს. **“რომ მცოდნოდა, შევარდნაძე ქვეყანას ასე მოაქცევდა, ჩათვლას რომორ დაუწერდ?”** - თქვა გულნატკენმა მოძღვარმა, რომელიც გუშინდელ შეხვედრაზე მკნებარე კომუნისტური პათოსით გამოიჩინა: **“ამერიკის მთელი გლობალიზებული შევარდნაძის ხელისუფლების წყალობით, საქართველო საფაქრო-საგადასახადო-პოლიციურ, მიფიურ-კლანურ-კორუფციულ და დასავლეთის ნეო-კოლონიურ სახელმწი-**



კუმბერ პატიავილი: “სახელისუფლებო ბლოკი იმიტომ შეიქმნა, რომ ეს გადაწინაღობული საქართველო შეინარჩუნონ.”

**ფოდ გადაიქცა! ჩვენ ამერიკული დოლარებით მოსყიდული ჩვენივე შვილიშვილი გვიფარავს! საქართველო დღეს გავს ჩექმა დაჭერილ ჭიას, რომელიც იკლავს და შევლას ითხოვს”** (სტილი დაცულია).

“შელისკის კავშირის” ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარის გამოსვლა კომუნისტი გურემიძისგან, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. მასაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად არც შევარდნაძე-ფვანია-სააკვილის დამოკრება გამოიჩენია მხედველობიდან. იგი დარწმუნებულია, რომ ამ ხალხს საქართველოს ამერიკისთვის ჩაბარება სურს.

კომუნისტებისა და ზვიადისტების შემდეგ ტრიბუნასთან აპოლის-მენტების თანხლებით ალექსანდრე ჭაჭიაც აღიმართა. მან საკუთარი მოხსენების ძირითადი აქცენტები ქართველების ფიზიკურ გადარჩენაზე გადაიტანა, რაც, სამართალი ვაჟში, მხოლოდ რუსეთთან მეგობრობას დაუკავშირა. **“შევარდნაძემ ქვეყანა იმ დო-**

**ნეზე მიიყვანა, რომ მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. მხოლოდ დღეს არსებობს საქართველოს ისტორიული მინები, სადაც ქართველები აღარ ცხოვრობენ, აღარ უღერს ქართული ენა და არ ვითარდება ქართული ტრადიცია. ასეთი სახის ტრავმა ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. ყოველივე ეს კი ქვეყნის დაშლის შევარდნაძისული შედეგია... ის ქართველი, რომელიც აცხადებდა, რომ რუსეთთან ცუდი ურთიერთობა უნდა გვექონდეს, საკუთარი ერის შეგირა,”** - თან ჭრის და თან კერას ალექსანდრე ჭაჭია.

პატიავილიმა კი შევარდნაძის მიერ რუსეთისგან მტრის ხატის შექმნაზე ისაუბრა. შემდეგ, ძირითადად, მისივე კომუნისტი წარსული გაიხსენა, როდესაც საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში უმდიდრესი რესპუბლიკა გახლდათ. შეხვედრაზე “ერთობის” ლიდერი წარსული ტკიპობამ ზომამზე მეტად გაიტაცა და ისიც კი განაცხადა, რომ საქართ-

ველო არათუ საბჭოთა სინამდვილეში, არამედ ევროპასა და მსოფლიოშიც უძლიერესი სახელმწიფო იყო, სადაც ყველად სოფლის მოუწონებოდა, სამრეწველო ინდუსტრია და ა. შ. პატიავილის კარგად ახსოვს კომუნისტური საქართველოს ბიუჯეტიც, რომელიც თურმე 6 მილიარდ რუსულ მანეთს შეადგენდა. **“შოქალაქეთა კავშირმა და მისმა ხელმძღვანელობამ საქართველო გადაინაწილეს. სახელისუფლებო ბლოკი კი იმიტომ შეიქმნა, რომ ეს გადაწინაღობული საქართველო შეინარჩუნონ. ამაზე როცა ხმა ამოვიღეთ, გავაფრთხილეს, კიდევ შეგვწევს ძალი, რომ რაღაც მოვიწყლოთ. ვაცხადებ, რომ ისინი ჩვენი გაფრთხილებული და შემინებული ვერაფერს მიადგენენ,”** - განაცხადა პატიავილი, მაგრამ ვინ ემუქრებოდა მას ამ რატომ, არ დაუკონკრეტებია.

იმერეთის შემდეგ “ერთობა” ანალიტიკური კონფერენციის ჩატარებას უკვე სამეგრელოში აპირებს.

## რუსეთი აფხაზეთის ჭარის დაფინანსებასა და განვრთნას ბანაბრობს

რუსეთი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯარის დაფინანსებასა და წვრთნაზე აქტიურად მონაწილეობს. რუსი ოფიცრების რიცხვი აფხაზეთში დღითიდღე იზრდება.

სოფლის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, სოფელ გუდაუბის ტერიტორიაზე არსებულ სახმელეთო ბაზაზე დასრულდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყებების ფინანსური დახმარებებისა და აფხა-

ზეთში ჩასული რუსი ოფიცრების მონაწილეობით გამართული სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების სამართლებრივი და საზენიტო სწავლება.

იმავე წყაროს ცნობით, რუსეთთან აფხაზეთში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩასული კვალიფიციური რუსი ოფიცრები სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს 60 ოფიცერს გუდაუბის და ოჩამჩირის სამხედრო ბაზებზე ორთიან სამუშაო სწავლებას უტარებენ. **ინტერ-პრესი**

### მოკლედ

**თბილისი.** საერთაშორისო საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე გელა ჩარკვიანი აცხადებს, რომ “აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში აშშ-ს გააქტიურების ყველა სიმპტომი არსებობს”. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** გორის რაიონის მხრიდან ცხინვალის დასავლეთ ნაწილს ვერტმფრენებს შემოჭრინა, რომელსაც ამოსაცნობი ნიშნები არ გააჩნდა. ამის შესახებ განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სავარეო საქმეთა მინისტრმა მურად ფიოევმა. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** საქართველო, დაახლოებით, ათ დამატებით საგუშაგოს გახსნის რუსეთთან საზღვრის ჩვენების, ინტეგრირებისა და დელეგაციის მონაკვეთებზე, რათა ჩვენს ბიუჯეტსა შესაძლო შემოჭრის მცდელობები აღიკვეთოს. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა კორნელი სალიამ. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** სასტუმრო “შერატონ მეტეხი-პალასში” რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის “ნევირ ქვეყნების მინისტრთა 31-ე სესია გაიხსნა. შეხვედრა სამ დღეს გასტანს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე აშშ-ში გაემგზავრა. კირვალიძე კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოში საერთაშორისო კონფერენცია-გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 21-25 ივნისს გაიმართება. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** პარლამენტის შენობასთან ინვალიდთა, უსინათლოთა და უნარშეზღუდულ პირთა 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ მშვიდობიანი მანიფესტაცია დაიწყო. როგორც აქციის ორგანიზატორმა, ინვალიდთა ლიგის ხელმძღვანელმა გიორგი ძნელაძემ განაცხადა, მანიფესტანტები პარლამენტისგან მიმდინარე საქონის კვირაში “სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვის ანგარიშის შესახებ” კანონპროექტის განხილვასა და მიღებას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** ოპოზიციური პარტიები ერთიანი საარჩევნო სის შედგენაზე მუშაობენ, რაც, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე დასრულდება. “გაერთიანებული დემოკრატები” ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა: ოპოზიციური პარტიების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საში პირველ ნომრად არ შევლენ. მისივე თქმით, განიხილავა გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო სის პირველ ნომრად პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დასახელების საკითხი. **პრაიმ-ნიუსი**

**გორი.** ცხინვალში დისლოცირებულ შერეულ სამშვიდობო ძალებში, ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად, ერთობლივი წვრთნები დაიწყო. ქართულ, რუსულ და ოსურ პატალიონებში სრული სამხედრო მზადყოფნა გამოცხადებულა. საკომანდო წვრთნები სამ უზნად დაყოფილ კონფლიქტის ზონაში მიმდინარეობს და მასში სამშვიდობო ძალების სრული შემადგენლობა მონაწილეობს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** მოზარდ მაყურებელთა თვატრში, პოლიტიკური პარტიის “მოდრობა ფართო წესრიგისთვის” დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი საქართველოში გაეროს-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიისგან ხეობაში ექსპედიციის პატრულირების დასრულებასთან დაკავშირებით წინადადებებს ელოდება. მსგავსი პატრულირების თაობაზე განცხადება საქართველოში გაეროს-ს გენერალური მდივნის პირადად წარმომადგენელმა პაიდი ტაქტაშვილმა 10 ივნისს სავარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქციის “მოქალაქეთა კავშირის” თავმჯდომარის ვიტალი ხაზარაძის აზრით, სახელმწიფო მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს შორის მომხდარი შელაპარაკება “შირიან გოგიაშვილის ახალგაზრდული ასაკის შედეგია”, რადგან იგი ან “ვერ აცნობიერებს მასზე დაეკისრებულ პასუხისმგებლობას, ან როცა მიუთითებენ, ჰგონია, რომ მის პატივსა და ღირსებას ეცეპიან”. **ინტერ-პრესი**

**მოსკოვი.** რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი იური ბალუევსკი უხილავ გამოთქვამს, რომ საქართველომ და უკრაინამ გადასახტანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსების გაყიდვაზე კონტროლის გამაყარების შესახებ რუსეთის წინადადებაზე უარი განაცხადეს. **პრაიმ-ნიუსი**

## რუსეთი ქართველებს განუცხადებდა მალულად ელავარაქება აფხაზეთს

რუსულან ნიქარაძე  
საქ. კორ. მოსკოვი

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის დარეგულირების საკითხების დამუშავების მორიგ შეხვედრას ამჟერად სავარაუდოდ დავალებათა ელჩი ვასილი კალაშნიკოვი ხელმძღვანელობს. ჩვენს გაზეთთან სატელეფონო ინტერვიუში მან განაცხადა, რომ **“მხარეთა კონსულტაციები კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობს”**. შეხვედრის დეტალებზე საუბარი რუსმა დიპლომატმა არ ისურვა.

არც მოლაპარაკების ქართველი მონაწილეები ენაშტეკრობენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან საქართველოს საელჩოში მიზრუნებული ჩვენი დელეგაცია თბილისთან კონსულტაციებს აგრძელებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ამჟამინდელ მოლაპარაკებებზეც ნაკლებმოსალოდნელია რაიმე სერიოზული

ძვრები ლტოლვილთა დაბრუნების საკითხში. რუსული დელეგაცია დაბრუნების მისეულ მექანიზმს ლობირებს: ადგილებზე რეგისტრაციის აფხაზეთისთვის მისაღებ რეჟიმს ახვევს თავზე ქართულ მხარეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დაბრუნებულმა დევნილმა უნდა დაამტკიცოს, რომ იარაღით ხელში არ ებრძოდება აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ქართული მხარე უკან დახევას არ აპირებს.

რუსეთი კვლავ გატკუნული გზით მიდის და, ყოველი შემთხვევისათვის, მოლაპარაკებებზე სოხუმის წარმომადგენელს უხმობს. ამ მოპატივებასაც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ივანოვის უწყება ფორმალურად უარყოფს, მაგრამ ფაქტი ვიუტივა: ვალერი ლოშჩინი, ქართული დელეგაციის მიღების შემდეგ, ანუ სადღიოსათვის გამოყოფილ მუალეღში, სერგეი შამბას ხვდება. მერე კვლავ საქართველოს დელეგაციასთან მოლაპარაკებებს უბრუნდება და ამის მერე იწყება სერიოზული კამათი გალის რაიონში ლტოლვილებ-

ის დაბრუნების რეჟიმზე.

**“ქართულ-აფხაზეთი დარეგულირების მთავარი პრობლემა პოლიტიკური ნების არქონაშია”,** - ამბობს რუსი დიპლომატი ლევ მირონოვი, რომელიც წარსულში ქართულ-აფხაზეთ პრობლემატიკაში აქტიურად იყო ჩართული. მირონოვის ირონიულად ეცინება იმაზე, რომ ათი წლის წინანდელი ისტორია მეორედმა ახლაც და ამ ათი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, კონფლიქტის დარეგულირებაში არავითარი წინსვლა არ შეინიშნება. მირონოვის თქმით, ასეთი უძრავობის მიზეზი ამჟერადაც აფხაზეთი არიან და არა ის, რომ თავიდანვე მცდარი მექანიზმი იყო შემუშავებული.

რასაკვირველია, ქართულ-რუსული კონსულტაციების ფორმალში აფხაზეთის სავარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას და ვალერი ლოშჩინის შეხვედრა ქართულ მხარეში მთავარ ნიშნად გამოიარა. რუსი პოლიტიკოსები მიიწვევენ, რომ ქართველები ცდებიან, როდეს-

აც კონსულტაციებში აფხაზეთა მონაწილეობაზე უარს ამბობენ. **“პირიქით, თბილისი დიპლტრესებული უნდა იყოს მოლაპარაკებებში აფხაზეთის მონაწილეობით, იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ქართველები და აფხაზეთი ერთმანეთში სხვის დაუხმარებლად უნდა პირიგდნენ,”** - მიანიჩა რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრე შამბაშვილმა.

ქართველი დიპლომატები კატეგორიულად სულაც არ აფხაზეთის წარმომადგენლის მოლაპარაკებებში ჩართვის მიმართ, თუკი, მათი თქმით, ეს საერთო საქმეს წაადგება. ერთადერთი, რაშიც მოსკოვი იმ მოლაპარაკებების დროს ქართული დელეგაცია კატეგორიულია, არის დარეგულირების პროცესისათვის პოლიტიკური ფონის შენარჩუნება. პოლიტიკური საკითხების მოგვარებით ეკონომიკური და სოციალური პრობლემებიც მოგვადრდება - ასეთია ქართული მხარის პოზიცია.

## ახალი იდეა - მიერ საქრებულომ აირიოს

პირველი გვარდიდან

საკრებულოს მიერ მის არჩევას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ თავად საკრებულო მაჟორიტარული წესით იქნება არჩეული და არა ასე, როგორც დღეს არის,” - უთხრა ყურნალისტებს ზოდელავამ.

თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რა პოზიციაზე დადგება პარლამენტი. ტაბიძე ამბობს, რომ ამ ცვლილების გატანას 79 ხმა სჭირდება. ეს კანონის მისაღებად მინიმალური ზღვარია, მაგრამ მის განაცხადზე ხელისუფლების მხარდაჭერა მაინც იქნება საჭირო. ამიტომ, “კონსერვატორების” ლიდერი მალე ჯორჯენაქისთანაც აპირებს შეხვედრას. თუმცა, სანამ ის სახელმწიფო მინისტრს შეხვდება, საინტერესოა, რას ფიქრობენ სახელისუფლო ძალები.

**“თბილისი არც რაიონული ცენტრია და არც რაიონი. დედაქალაქის მერის ინსტიტუტი იმდენად სერიოზული ინსტიტუტია, რომ ამ საკითხის ასე, ერთი ხელის მოსით გადაწყვეტა არ შეიძლება. ეს არის**



გიორგი ტაბიძე თავისი იდეის მხარდაჭერის ვარაუდობს, როგორც ოპოზიციისგან, ისე ხელისუფლებიდან.

ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მცდელობა. მე ამ ეტაპზე მერის არჩევა წაადრევად მიმაჩნია. როცა ქვეყანა დალაგდება და ამ გარდამავალ პერიოდს გავივლით, მერე დედაქალაქის მერი პირდაპირ ხალხმა უნდა აირჩიოს,” - ამბობს ვიტალი ხაზარაძე.

ეს იდეა ადფროთვანებას არც ოპოზიციურ პარტიებში იწვევს. აი, როგორია “დემოკრატ” მიხელ მაჭავარიანის კომენტარი: **“ტაბიძე, საერთოდ, საეჭვო დოკუმენტების შედგენაშია შემჩნეული, ამიტომ, სანამ ამ დოკუმენტს თავად არ ვნახავ, კომენტარს ვერ გავაკეთებ. ისე, უცნაურია, კაცი ერთი წელია საკრებულოშია და ერთადერთი, რაც გააკეთა - ითხოვს, მერი საკრებულომ აირჩიოს. რატომ საკრებულომ? მერი, ჩემი აზრით, ხალხმა უნდა აირჩიოს.”** თუ რა საეჭვო დოკუმენტების შედგენაშია ტაბიძე შემჩნეული, მაჭავარიანი არ ამბობს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მისამართი რედაქციაში მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ევსეიძე (მმართველი რედაქტორი). ვახტანგ ნადირაძე (გამომცემელი რედაქტორი). ირაკლი ლევივა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დავით მადრამე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბილა, სამყარო - ქეთევან სადლოღაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიძინა მარგალიტი, მედიკალი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიწისქვე - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო ჯალაღანი (მწვეფერი). ფოტო: გიორგი კოკლაშვილი, გიორგი მხალაძე, კომპიუტერული (მანტინი): თამარ ჩხიტი (მწვეფერი), მაია ყიასხვილი, ლელა ნიქარაძე, ბექა ბალარაძე, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რამკლამა - ზურა ჯაფარიანი.





# ტარიტორიულ მილიანობას მხოლოდ ეფექტური მთავრობა აღადგენს

## მთა უტიაპილი

*“24 საათის სტუმარია” აზერბაიჯანის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ალიევის ყოფილი თანამშემუქ სამინიო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ელდარ ნამაზოვი*

**- ამბობენ, რომ თქვენ აპირებთ კენჭი იყაროთ აზერბაიჯანის პრეზიდენტის პოსტზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ არჩევნები, თქვენი აზრით, თავისუფალი და სამართლიანი იქნება?**

- პასუხს ბოლოდან დავიწყებ. თუ ჩვენ გვეჯერა, რომ აზერბაიჯანში არჩევნები შეიძლება თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდეს, მაშინ მართლაც ასე იქნება. თუ ამის რწმენა არ გვექნა, მაშინ აზერბაიჯანს ვაგარეულდება ფალსიფიკირებული არჩევნების ერა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საზოგადოებას და პოლიტიკოსებსაც არჩევნების წინ აქტიური პოზიცია უნდა დაეკავონ.

რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას, გადაწყვეტილებას ორ გარემოებაზე დაყრდნობით მივიღებ: თუკი მთავრობა და ოპოზიცია შეთანხმდება, რომ საარჩევნო კამპანია კონსტიტუციის ფარგლებში, ცივილიზებული გზით უნდა წარმართოს, ან თუკი ოპოზიციური ძალები შეძლებენ გაერთიანებას და საერთო პოზიციითა და კანდიდატით გამოვივალს.

**- თქვენ ალიევის თანამებრძოლად ითვლებოდით. რატომ გადაწყვიტეთ ოპოზიციაში გადასვლა? რა პრეტენზიები ქვიათ თქვენ ალიევის მიმართ თქვენ, როგორც მოქალაქე?**

- მე მართლაც ვიყავი პრეზიდენტის მრჩეველი სამინიო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში და მის აპარატის უფროსი. ჩვენ შორის შეთანხმება 1996 წლიდან დაიწყო და, ძირითადად, სამინიო პოლიტიკის საკითხებზე შეეხებოდა. მიმაჩნია, რომ 1993 წელს, ხელიწაფებულმა მოსვლამ შემდეგ, ალიევიმ შეძლო რაღებიზე მზავვე პრობლემების გადაჭრა - საზოგადოებრივ-პოლიტი-

კური სტაბილურობის აღდგენა, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების განადგურება, ნავთობთან დაკავშირებული კონტრაქტების ხელმოწერა და სხვა. ამის გაკეთებას ქვეყნის წინა ლიდერებიც ცდილობდნენ, თუმცა არ გამოუვიდათ. ამის არდაზავა არ შეიძლება.

რაც შეეხება ალიევის სამინიო პოლიტიკას, განსაკუთრებით კი საბაზრო რეფორმების გატარებას, დემოკრატიზაციას და ადამიანის უფლებების დაცვას - ამ მხრივ მან მარცხი განიცადა. გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება კი მაშინ მივიღე, როდესაც არასწორმა სამინიო პოლიტიკამ, ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა მთავრობა იქამდე მიიყვანა, რომ მან ყარაბაღის საკითხში გაუმართლებელ დათმობებზე წასვლა სცადა. ამ ყველაფერს მე ერთი ჯაჭვის რგოლებად მივიჩნიე, რადგან მხოლოდ ეფექტურად მოქმედებ მთავრობას, რომელიც საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს, შეუძლია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**- თუ გადავლებდით პარალელს ალიევისა და შევარდნაძის პოლიტიკურ მიღწევებს შორის?**

- ამას წინათ, როცა ამერიკაში ვიყავი, ერთ-ერთ ანალიტიკურ ცენტრში საინტერესო აზრი მოვისმინე. შევეცადე იგი ჩემი სიტყვებით გადმოვცე: “საჭიროა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების უმრავლესობის სათავეში ისევე ძველი, კომუნისტური ელიტა დარჩა. მართალია, საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით თქვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მათ ვერ კიდევ უნდა მიიღონ. ასეთი პოლიტიკური გამოცდა იქნება თავიწი სუფალო და სამართლიანი არჩევნების გზით მმართველი ელიტის შეცვლა. თუ თქვენი ხალხი ამ გამოცდას ჩააბარებს და თანაც ქვეყანას არ დააქვევს, საერთაშორისო საზოგადოება ამას ამ ქვეყნების პოლიტიკური დამოუკიდებლობის დამტკიცებად აღიქვამს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა ბეგრისათვის საბ-

ჭოთა კავშირის დაშლის “თანხმლებ პროდუქტად” დარჩება”. ამ მხრივ კევარი საერთო არსებობს არა მხოლოდ გეგასის რესპუბლიკებს, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებს შორისაც.

რაც შეეხება მაგალითებს: სომხეთის არჩევნების შემდეგ ბევრი მიმოხილველი ამბობდა, რომ ეს ცუდი მაგალითია აზერბაიჯანისათვის. იმედი მაქვს, რომ აზერბაიჯანშიც და საქართველოშიც დემოკრატიული ძალები შეძლებენ ყველას დაუმტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.

ყოველთვის, როდესაც ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ხალხის მენტალიტეტი შეუთავსებელია დემოკრატიათან, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მაგალითი მომეყვას. ერთი ხალხია, ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთი ნახევარი დემოკრატიის და წარმატებული საბაზრო ეკონომიკის პრობლებში ცხოვრობს, მეორე კი მიწილს მხოლოდ საერთაშორისო დახმარების მეშვეობით გაუჭრებს.

ეფექტური დემოკრატიის მაგალითები ევროატლანტიკური სივრცის გარეთაც არსებობს; საქმარისა გაციხსენით იაპონია ან თურქეთი. ასე რომ, შეგვიძლია ოპტიმისტები ვიყოთ.

**- პრეზიდენტის ვაჟის, ილაჰ ალიევის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ხომ არ შეადარებდით მამა-შვილს და, თქვენი აზრით, თუ ხელდას მმართველი პარტია უმცირეს ალიევიში მომავალ პრეზიდენტს?**

- ალიევის საერთოდ ვერაფერს შევადარებ, ვერც მის შვილს და ვერც ახალგაზრდ ოპოზიციურ პოლიტიკოსებს. თუ ვინმეს მისი “კობრივი” სურს, არაფერი გამოუვა. იმისათვის, რომ შეიძლოს ალიევი გახდეს, მისი ცხოვრების გზა უნდა გაიაროს, ეს კი, მაშინაც ალბათ, შეუძლებელია, რადგან დღეს აღარც “კაცები” არსებობს და არც პოლიტიკური. რაც შეეხება მეორე კითხვას, ვფიქრობ, მმართველმა პარტიამ თავად არ იცის პასუხი, რადგან გადაწყვეტილებას ის არ იღებს.

**- რა როლები გათვალისწინებთ ოპოზიცია? მოელით თუ არა**



ნეტაჯ კიდევ ამას ავირჩევ?

**სერიოზულ აქტიურობას ამომრჩევთა შორის?**

- ვფიქრობ, ოპოზიციას სამი მთავარი ლოზუნგი ექნება: ყარაბაღი, სოციალ-ეკონომიკური ვითარება და დემოკრატიული უფლებები. რაც შეეხება ამომრჩეველთა აქტიურობას, ეს პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 25-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ენდობა არც ერთ ახლანდელ პოლიტიკურ ლიდერს. რადგან იქნება შესაძლებელი მათი გადაწვევება, გადაწყვეტ გაუღენას იქონიებს როგორც ამომრჩეველთა აქტიურობაზე, ისე არჩევნების შედეგებზე.

**- თუ აზერბაიჯანში არჩევნები ისე ჩატარდება, როგორც ხშირად ტარდება ხოლმე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - არა მთლად თავისუფლად და დასამართლიანად, როგორ შეხედვს ამას საერთაშორისო საზოგადოება? ხომ არ გააკეთებს დასავლეთი აქცენტს სტაბილურობაზე დემოკრატიის ხარჯზე?**

- ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას განსაზღვრავს არა მხოლოდ ფალსიფიკაციის ხარისხი, არამედ საზოგადოების რეაქციაც გაყალბებაზე. სწორედ ეს გარემოება (რამდენად აქტიურად დაიცავს სამოქალაქო საზოგადოება თავის უფლებებს) შესაძლებელია გადაწყვეტ როლს არჩევნების შესახებ საერთაშორისო აზრის ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება სტაბილურობის შენარჩუნებას, ჩვენ ეს დასავლეთის ქვეყნებზე არანაკლებ უნდა გვანუხებდეს.

**- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირება ქართულ საარჩევნო კამპანიაში ერთ-ერთ უცვლელ პრობლემადურ საკითხს წარმოადგენს. როგორ არის ამ მხრივ საქმად აზერბაიჯანში?**

- ჩვენიანაც საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პრინციპი სერიოზული დავის საგანია. სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ მიღებულ პროექტში არადაცვლილია პარტიტეტი, რაც ოპოზიციის სამართლიან უყმაყოფილებას იწვევს. ჩემი აზრით, უმჯობესია იქნებოდა, თუ საარჩევნო კომისიას სა-



ელდარ ნამაზოვი.

ზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები დააკომპლექტებდნენ, ხოლო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დამკვირვებლების ფუნქციით შემოწარულებოდნენ.

**- როგორ წარმოგიდგენიათ აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთობები ალიევისა და შევარდნაძის წასვლის შემდეგ?**

- შევადგამისა და ალიევის მეშვეობით ურთიერთობებმა დადებითი როლი შეასრულა საქართველო-აზერბაიჯანის კავშირების განმტკიცებაში. დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომი მთავრობები ამ კავშირებს კიდევ უფრო გააღრმავებენ, რადგან იგი ორი ქვეყნის ერთგულ ინტერესებსა და სტრატეგიულ მიზნებს ემყარება. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები არის ის კარგი მაგალითი, რომელიც ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებზე უნდა გაიზიაროს.

დახმარებისათვის მაგლობას ვუხდით მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს.

# ლონდონში ტონი ბლერის წინააღმდეგ გამომძიება დაიწყო

## პირველი გავრცობა

გამომძიების დაწყების ინიციატივები აცხადებენ, რომ ტონი ბლერის დღესი დიდ ეჭვს ბადებს, რადგან ერთ-ერთი ომის დასრულებიდან ორი თვე გავიდა და მასობრივი განადგურების იარაღის კვალიც კი არ არის ნაპოვნი. დამკვირვებლები უკვე საუბრობენ, რომ გამომძიების დასკვნებმა, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის რეპუტაციას და პოლიტიკურ კარიერას დარტყმა მიიყენოს. ამასთანავე, არსებობს მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, შესაძლოა გამომძიების შედეგები სამთავრობო ცენტრში მოჰყვებს, რადგან კომიტეტი, რომელმაც გამოძიება უნდა აწარმოოს, უშუალოდ პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და სხდომების დიდი ნაწილი დახურულ კარს მიღმა ჩაივლის.

უნდა ითქვას, რომ საგამომძიებო კომიტეტს ჩვენებას მთავრობის ორი ყოფილი წევრიც მისცემს. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი რობი კუკი, რომელიც ამჟამად თემთა პალატაში დეპუტატობის ფრაქციას ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი ომის დაწყებამდე გადადგა. მას შემდეგ დატოვდა თანამდებობა კლერ მორტონი, რომელიც ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტროს უღვა სათავეში. ორივე მათგანი ესწრებოდა საიდუმლო თათბირებს, რომლებიც ერთ-ერთი საზღვარდო კამპანიაზე შეეხებოდა.

ბლერის კუკიც და კლერ მორტონიც აცხადებდნენ, რომ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა თავისი ქვეყანა ერთ-ერთი მოტყუებით ჩააბარა.

რაც შეეხება აშშ-ს ერთ-ერთი მოქმედებების დაწყების სამართლიანობას, საკითხი აქვს დიდი სიმწვავეით დგას. თუმცა, კონგრესის რესპუბლიკელთა უმრავლესობა ქვეყანაში ფართომასშტაბიანი გამომძიების დაწყებას ეწინააღმდეგება. რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ ასეთმა გარჩევებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას და ზიანი მიიყენოს სპეცსამსახურების საქმიანობას. მიუხედავად ამისა, კონგრესში ამ კვირას მიიხდება დღის წესრიგში საკითხის განხილვა. ოპოზიცია მოითხოვს, რომ ქვეყნის კანონმდებლებმა იმსჯელონ, ვააზიდა თუ არა პრეზიდენტმა ბუშმა ერთ-ერთი საფრთხე თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. სააგენტო “ბი-ბი-სის” ცნობით, შეერთებულ შტატებში ამ საკითხზე დაწყებული ენებათაღლევა კიდევ უფრო გაამწვავა ორბაბათს სენატის ერთ-ერთი წევრის განცხადებამ, რომლის თანახმადაც, აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერუო სააგენტომ შეგნებულად დაძაბა ვაგრო-ს სამხედრო ინსპექტორთა მოხალისეობა, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში ერთ-ერთი ოპოზიციის შემოწმებას აწარმოებდნენ. “საზოგადოებრივ ინსპექტორთა მონაცემების გაყალბების შე-

სახებ რომ იცოდეს, მოთხოვნები, ერთ-ერთ შემომწმების გაგრძელების შესახებ, უფრო მკვეთრი იქნებოდა”, განუცხადა ჟურნალისტებს სენატორმა დემოკრატიული პარტიდან კარლ ლევიმ. “რატომ აცხადებდა ცენტრალური სადაზვერუო სააგენტო, რომ ინსპექტორებს ანდობდა ინფორმაციას ყველა ძირითადი და სამშალეო დონის ობიექტების შესახებ, როდესაც სინამდვილეში ეს ასე არ იყო? იმისთვის ხომ არ აკეთებდა ამას ცსს, რომ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკისათვის ხელი არ შეეშალა?” - სვამს შეკითხვას სენატორი.

სააგენტო “ბი-ბი-სის” ცნობით, კარლ ლევინი აშშ-ს სპეცსამსახურების მუშაობას ერთ-ერთი კონფლიქტის ადრეც აკრიტიკებდა, თუმცა ამ კრიტიკამ ახლა უფრო მწვავე ხასიათი შეიძინა.

რაც შეეხება ერთ-ერთი მთავარი გვირს - პრეზიდენტ ბუშს, ის ოპოზიციებს ვერ არ თმობს. “ჩვენმა ქვეყანამ ერთ-ერთი მთავარი ინსპექტორის შექმნა და ინფორმაციის ყველა ძირითადი და სამშალეო დონის ობიექტების შესახებ, როდესაც სინამდვილეში ეს ასე არ იყო? იმისთვის ხომ არ აკეთებდა ამას ცსს, რომ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკისათვის ხელი არ შეეშალა?” - სვამს შეკითხვას სენატორი.

# ირანში ფინანსური კლირდა



ირანელს სტუდენტებს კლერიკალების ხელისუფლება არ სურთ

## რეჟიმის ბახსადი

ქვეყნის შიგნით მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, საერთაშორისო თანამშრომლობა ირანისა და ავსტრალიის შორის უწყვეტად მიმდინარეობს. მოსახლეობის უმრავლესობა ირანში არსებული რეჟიმის მიმართ უკმაყოფილოა.

ბის გატარების შესახებ. რეფორმების მომხრე ლექტორებისა და მწერლების განცხადება ორმაზათის გაზეტი “ისა-ნოუში” გამოქვეყნდა.

ხელმოწერილია შორის პრეზიდენტ მოჰამად ხათამის ორი მრჩეველი იყო: საიდ ფურუზიზი და საიდ შაჰარაიანი. ეს უკანასკნელი პრეზიდენტის რეფორმისატორული პროგრამის შემოქმედად ითვლება.

მმართველი კლერიკალების მტკიცებით, ხაშენი დემონსტრაციები ლმერის წარმომადგენელია და, შესაბამისად, მის მიერ გამოცემული ბრძანებები ექვემდებარება დადგება. აღნიშნულ განცხადებებში ირანელი ინტელექტუალები აღნიშნავენ, რომ ამგვარი განცხადებები რეფორმისატორული სწავლების აბსოლუტურად ეწინააღმდეგება.

“ინდივიდუალური ლმერთად წარმოსახვა და მათთვის აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭება... ამკარა პოლიტიკაშია, ყოვლადღებური ლმერთა წინააღმდეგება და ადამიანის ღირსების უხეში შელახვა”, - ნათქვამია განცხადებებში. “საღვს და მათ მიერ არჩეულ კანონმდებლებს სრული უფლება აქვთ, თავიანთი მმართველებს თვალყურის ადევნონ, გააკრიტიკონ და გადააყენონ, თუ არ დააკმაყოფილებენ”.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროტესტის პარალელურად, ირანის მმართველი პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლების თავდასხმისაგან დაცვა. დასავლური პრესის ინფორმაციით, ამ პოლიტიკურ დაჯგუფებას ირანის უზენაეს ლიდერ აიათოლა ალი ხაშენისთან მჭიდრო კავშირი აქვს და მის დაკვეთებს ასრულებს.

დემონსტრაციების მოთხოვნები კვლავ უცვლელი იყო: კლერიკალების გადადგომა და დემოკრატიული რეფორმების გატარება.

“ყოველდღე, ჩემს ოჯახთან ერთად, აქ მოვიდოდი, მაგრამ ლიდერის არარსებობის გამო, დემონსტრაციები ჩაკეტილია”, - დანაწილები აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ “როიტერს” კორესპონდენტთან საუბრისას.

ირანში მყოფი დიპლომატების აზრით, შესაძლოა, აქციები დროებით შეწყდეს, მაგრამ დემონსტრაციების ხელახლა დაწყება მნიშვნელოვანია. წინააღმდეგობა ირანული უნივერსიტეტების 250 ლექტორი და მწერალი შეუერთდნენ სტუდენტების მოთხოვნას, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას.

ირანელი ხალხის გათავისუფლება იქნება”, - განაცხადა პერლმა.

ვაშინგტონში ირანის მიერ გაგზავნილი საპროტესტო ნოტის საახსოვად, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა რჩიარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ “შეერთებული შტატების სტრუქტურების გვერდით დგას, დემონსტრაციების გვერდით, იმ ხალხის გვერდით, ვინც ირანში მეტ თავისუფლებას მოითხოვს, ვინც თანამედროვე სამყაროსთან გაერთიანების შესახებ ითხოვს”.

ამერიკის პარალელურად, ევროკავშირი ხელსაყრელი საგაჭრო პრობემის შეთავაზებით, ირანის ინსპექტირებაზე დათანხმებას ცდილობს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი განსხვავებული ირანის საკითხში ევროკავშირის პოზიცია შეერთებული შტატების პოზიციასთან განსხვავებულია. “ინდივიდუალური ლმერთად წარმოსახვა და მათთვის აბსოლუტური ძალაუფლების მინიჭება... ამკარა პოლიტიკაშია, ყოვლადღებური ლმერთა წინააღმდეგება და ადამიანის ღირსების უხეში შელახვა”, - ნათქვამია განცხადებებში. “საღვს და მათ მიერ არჩეულ კანონმდებლებს სრული უფლება აქვთ, თავიანთი მმართველებს თვალყურის ადევნონ, გააკრიტიკონ და გადააყენონ, თუ არ დააკმაყოფილებენ”.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროტესტის პარალელურად, ირანის მმართველი პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენლების თავდასხმისაგან დაცვა. დასავლური პრესის ინფორმაციით, ამ პოლიტიკურ დაჯგუფებას ირანის უზენაეს ლიდერ აიათოლა ალი ხაშენისთან მჭიდრო კავშირი აქვს და მის დაკვეთებს ასრულებს.

დემონსტრაციების მოთხოვნები კვლავ უცვლელი იყო: კლერიკალების გადადგომა და დემოკრატიული რეფორმების გატარება.

“ყოველდღე, ჩემს ოჯახთან ერთად, აქ მოვიდოდი, მაგრამ ლიდერის არარსებობის გამო, დემონსტრაციები ჩაკეტილია”, - დანაწილები აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ “როიტერს” კორესპონდენტთან საუბრისას.

ირანში მყოფი დიპლომატების აზრით, შესაძლოა, აქციები დროებით შეწყდეს, მაგრამ დემონსტრაციების ხელახლა დაწყება მნიშვნელოვანია. წინააღმდეგობა ირანული უნივერსიტეტების 250 ლექტორი და მწერალი შეუერთდნენ სტუდენტების მოთხოვნას, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას.

# მსოფლიოს მოსახლეობა აშშ-ის მიმართ არაკითხიანად იყავით

გუშინ საინფორმაციო სააგენტო “ბი-ბი-სიმ” საერთაშორისო მასშტაბის გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც აშშ-ის ხელისუფლების მიმართ მსოფლიო მოსახლეობის განწყობებს შეეხება. შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ორი მესამედი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი.

გამოკითხვები ჩატარდა შემდეგ ქვეყნებში: ავსტრალია, კანადა, ბრაზილია, საფრანგეთი, ინდონეზია, ისრაელი, იორდანია, რუსეთი, სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთი და აშშ. რესპონდენტთათვის დასმული კითხვები შეეხებოდა აშშ-ის სამხედრო, ეკონომიკურ, კულტურულ და

პოლიტიკურ სფეროებს. აშშ-ის ძირითადი მოკავშირის - დიდი ბრიტანეთის გამოკითხული მოსახლეობის 57-მა პროცენტმა პრეზიდენტს ჯორჯ ბუშის მიმართ არაკითხიანად იყავით განაცხადა. რუსეთში გამოკითხულთა 81 პროცენტი და საფრანგეთის 63 პროცენტი მიიჩნევენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება ერთ-ერთი ომის დაწყების შესახებ არასწორი იყო. საპირისპირო აზრს აცხადებდა აშშ-ის, სადაც გამოკითხულთა 74 პროცენტი ერთ-ერთ ომს ამართლებს. სადამ ჰუსეინის რეჟიმის ძალით დაპყრობას მხარი დაუჭირეს ასევე დიდ ბრიტანეთში (54 პროცენტი) და ისრაელში (79 პროცენტი).

კითხვაზე - ვის მიიჩნევენ მსოფლიოს სტაბილურობისათვის ყველაზე საშიშოდ? იორდანიაში (71 პროცენტი) და ინდონეზიაში (66 პროცენტი) უზარმაზარია, რომ ალ ქაიდას და ირანზე დიდ საფრთხეს მსოფლიოსათვის აშშ წარმოადგენს. ვარდა ამისა, აშშ-ის, ავსტრალიის და ისრაელის რესპონდენტების ვარადა, ყველა მიიჩნევენ, რომ მსოფლიოს სტაბილურობას საფრთხეს სირიაზე მეტად აშშ უქმნის. 11 ათასზე მეტმა რესპონდენტმა უარყოფითად შეაფასა აშშ-ის პოლიტიკა საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ.

კიდევს შიგნით მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, საერთაშორისო თანამშრომლობა ირანისა და ავსტრალიის შორის უწყვეტად მიმდინარეობს. მოსახლეობის უმრავლესობა ირანში არსებული რეჟიმის მიმართ უკმაყოფილოა.

და, პროსტიტუციის მიზნით თურქეთში და არაბეთის გაერთიანებულ საერთოებში გაყავით. ქალების საბოლოო დანიშნულების საფრთხედა ადგილობრივი გემრანია, საბერძნეთი, აშშ და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. აშშ-ის, სახელმწიფო დეპარტამენტმა სომხეთის ხელისუფლება, გატარებული ღონისძიებების გამო, შეაკრიტიკა. მთავრობამ ტრედიკონის საკითხების შემსწავლელი საგანგებო კომისია ჩამოაყალიბა, ტრედიკონის სანაღმარებლო მუხლი კი პარლამენტის მიერ აპრობირებული სომხეთის ახალ სისხლის სამართლის



# ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა - სიჭყვიდან საქმემდე დიდი მანძილია

პირველი გვერდიდან

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ტრეფიკინგის განყოფილება, შემუშავდა პროგრამები და ა.შ.

და მაინც, რა გახდა ქვეყნის იმიჯის შელახვის მიზეზი? შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილების უფროსის, რევაზ ლილივაშვილის თქმით: "წელს ტრეფიკინგის წინააღმდეგ რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, ამას ყველა აღიარებს. თუმცა, სხვადასხვა ასპარეზზე, ქულების ჩანგრის მიზნით, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სულ სხვას ამბობს. სწორედ ამან შეუღება საქართველოს სახელი. არასამთავრობო ორგანიზაციები ტრეფიკინგის ასობით მსხვერპლზე საუბრობენ. როცა ვუბნებით, ერთი მაინც გვაჩვენეთო, სხვადასხვა მიზეზს იმიზეზებენ. ამ გზით ტრეფიკინგს საქართველოში ვერ აღმოვფხვრით," - ამბობს ტრეფიკინგის განყოფილების უფროსი.

ის არასამთავრობო ეკი, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ კატასტროფულ რიცხვებს ასახელებენ, სამართალდამცველებს ტრინის ლოგოკას უპირისპირებენ. "ტრეფიკინგი სპეციფიური დანაშაულია. მსხვერპლს საკუთარ თავგადასავალზე საუბარი უუზრუნველხა. მას სჭირდება გარემო, სადაც გაიხსნება. ქართული პოლიტიკოსები, 2001-2002 წლებში მარტო ჩვენს ორგანიზაციას ტრეფიკინგის 387-მა მსხვერპლმა მოაკითხა. მათ არ სურთ პოლიციასთან საქმის დაჭერა, რადგან დარწმუნებული არიან, რომ საქმეს მაინც არ გამოიძიებენ და აქეთ დას-



სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები პრობლემიდან გამოსავალს ეძებენ.

ცილებენ", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში საერთაშორისო კავშირის, მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის ცენტრის უფროსმა ნუგზარ სულაშვილმა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი შეხვედრა ურთიერთსაინააღმდეგო პოზიციების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიდა, მაგრამ ერთ რამეზე ყველა შეთანხმდა - უნდა მიეღოთ რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის, რათა 90 დღეში საქართველომ დაეკარგული ავტორიტეტი დაიბრუნოს.

რეკომენდაციების, ანუ გასაკეთებელი საქმის ნუსხა კი, დაახლოებით, ასე გამოიყურება. "სამოქმედო

გეგმაში განისაზღვროს პრიორიტეტები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშების უზრუნველყოფისთვის შეიქმნას ზედამხედველობის ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

კანონმდებლობის შარმონიზაციის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შს-ს, ოუსტიციის სამინისტროს, უშიშროების საბჭოს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის, ჯანდაცვის, შრომისა და სოცურუნველყოფის სამინისტროს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სახალხო დამცველ-

ის ინსტიტუტის და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტიდან გამოიყოს სახსრები და შეიქმნას შს-ს ტრეფიკინგის ბრძოლის განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა".

მოკლედ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად თეორიული გეგმა უკვე არსებობს. რა მოხდება მომავალში, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლაზე საუბარი საქართველოში ძალიან აქტუალური გახდა.

# შინაგანი ჭარი სავაჭრო დანაცობულობის დასაცავად ჭარ მზად არ არის

ბოლო პერიოდში სასჯელაღსრულების დანესებულებებიდან პატიმართა გახშირებული გაქცევების გამო ოუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სავაჭრო დანესებულებების გარე პერიმეტრის დაცვა დროებით უზრუნველყოს შინაგანმა ჯარმა. ოუსტიციის სამინისტროს ამ ინიციატივას, რამდენიმე დღის წინ, ძალიან მინისტრებმა და პრეზიდენტმაც დაუჭირეს მხარი. თუმცა, როგორც ირკვევა, პრეზიდენტის დავა-

ლებას შინაგანი ჯარები, ჯერჯერობლივ, ვერ შეასრულებენ.

შინაგანი ჯარების მთავარსარდალი გიორგი შერვაშიძე ვარაუდობს, რომ შინაგანი ჯარები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სავაჭრო დანესებულების დაცვის უზრუნველყოფას მხოლოდ უახლოესი სამი თვის შემდეგ შეძლებენ.

"ამ მისიის შესრულებამდე მთელი რიგი საკითხებია გადასანჯვეჭტი; საჭირო გახდება იმ სამსახრო ერთეულზე, სახელფასო ფონდის, ყაზარმების,

იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და ავტომანქანების უკან დაბრუნება, რაც შინაგან ჯარს ჰქონდა, სანამ იგი სავაჭრო დანესებულების დაცვას ახორციელებდა", - აცხადებს შინაგანი ჯარების მთავარსარდალი გიორგი შერვაშიძე. მთავარსარდალი აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დანესებულებების დაცვას შინაგანი ჯარების 1460 სამსახრო ერთეული მაინც დასჭირდება. "გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ აღწერა შინაგანი ჯარები საპყრობილებ-

ის დაცვას არ ახორციელებდნენ. ეს მისია პოლიციის პრეროგატივა იყო და ამჯერად, ალბათ, გადასანჯვეჭტი იქნება, ვინ მოადგენს საპყრობილებში გარე პერიმეტრის დაცვას - შინაგანი ჯარი, თუ ოუსტიციის სამინისტროს დაცვის სამსახური. ასევე გადასანჯვეჭტი სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რაც ორი უწყების ხელმძღვანელებისა და მათ მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფების შემუშავებით უნდა მოხერხდეს", - ასეთი გახლავთ შერვაშიძის პოზიცია.

# ადამიანის ბატონობის ორგანიზაციის ბრალდებათა დასაბუთება

აბმეტის რაიონის პოლიციამ პანკისის ხეობის სოფელ ომალოში დააკავა პანკისელი ავტორიტეტის, აწ გარდაცვლილი ვეფხია მარგოშვილის ახლოდანი, ქისტე მელიკო კუმტანაშვილი. მელიკო კუმტანაშვილი, დადებითი თვის წინ, სამართალდამცველებმა ძებნილად გამოაცხადეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ადამიანთა გატაცებებში თანამონაწილეობისა და გატაცების ორგანიზატორობის ბრალდებით დაკავებული მელიკო კუმტანაშვილის თელავის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად შინა- პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილება მაშინ ბრალდების მხარემ ზემდგომ ინსტანციაში - საოლქო სასამართლოში გასაჩივრა. საოლქო სასამართლომ ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა და მელიკო კუმტანაშვილის დაპატიმრების სანქციაც გასცა. კუმტანაშვილმა კი აპასობაში მიხალვა მოახერხა. სწორედ ამის შემდეგ სამართალდამცველებს ახლიდან მოუწიათ კუმტანაშვილის ძებნა.

ვილის შუამავლობით 84-დღიანი ტყვეობიდან გათავისუფლებული ჯემალ ნავრუშოვის ახლობლები. ჩვენი ინფორმაციით, დაზარალებულებსა და მათ ახლობლებს დღემდე ეშინიათ მძიმე ბრალდებებით დააკავებული ქისტე ქალის და სამართალდამცველებთან ურთიერთობას სწორედ ამიტომ არიდებენ თავს.

"გატაცებულმა გატაცებული ცხრა წლის ელნარა ალიევა მელიკო კუმტანაშვილის მიუყვანეს. მან ცხრა წლის ბავშვს სამალავი ადგი-

ლი პანკისის ხეობის სოფლებში რამდენჯერმე გამოუცვალა. პოლიციამ გატაცებულის დახსნა მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ მოახერხა. ერთი სიტყვით, ალიევის ოჯახიდან მცირეწლოვანი ბავშვის გატაცება მელიკო კუმტანაშვილის მიერ იყო ორგანიზებული. გატაცებულმა მონაწილეების ვინაობა კი დღემდე დაუდგენია". - განაცხადა ილიევის ოჯახის წევრებმა.

რაც შეეხება ჯემალ ნავრუშოვს, ის ნიღბებითა და ავტომატებით შეიარაღებულია ცხრა თავდამსხლელობა საკუთარი სახლიდან გაიტაცა. გატაცებულებსა და გატაცებულის ოჯახის წევრებს შორის დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება გამოსასყიდ თანხაზე.

თავდაპირველად გატაცებულნი მძევალს გათავისუფლებამ 200 ათას დოლარს ითხოვდნენ. გავრცელებული ვერსიის თანახმად, ნავრუშოვის გატაცების ვეფხია მარგოშვილი ორგანიზატორობდა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ გატაცებულის ოჯახ-

სა და მარგოშვილს შორის გამოსასყიდ თანხაზე მორიგება დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. მარგოშვილი მძევლის გასათავისუფლებლად დასახლებულ თანხას კაპიკს არ აკლევდა. გატაცებული ჯემალ ნავრუშოვი კი 84 დღის განმავლობაში გამატაცებულს პანკისის ტყეში, ხეზე ჰყავდათ მიბმული. მისი გათავისუფლება სწორედ მელიკო კუმტანაშვილის შუამავლობით მოხდა. საქმეში მისი ჩართვის შემდეგ, გატაცებულები 200 ათასი დოლარს 60 ათასამდე ჩამოვიდნენ. როგორც ამბობენ, გამოსასყიდ თანხა მარგოშვილმა სწორედ მელიკო კუმტანაშვილის ხელიდან ჩაიბარა.

ადამიანის გატაცების ორგანიზატორობისა და გატაცებში თანამონაწილეობის ბრალდებით დაკავებული მელიკო კუმტანაშვილი ამჟამად თბილისში, მესულთ საპყრობილის წინასწარი დაკავების საკანშია. რაც შეეხება გატაცებულნი მონაწილე სხვა, გამოძიებით დაუდგენელ პირებს, განსასჯელი მათ ვინაობას, ჯერჯერობით, საიდუმლოდ ინახავს.

# დრანდის ციხიდან გაქცეული ქართველი სიკვდილმსჯილი პატიმრიდან ერთ-ერთი - ენვერ ტანია, რომელიც სამი დღის წინ ორამჩირეში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს და რომელსაც ბრალად ედება სოხუმის ცენტრში ხუთი აფხაზის მკვლელობა, დაკავების დღესვე გარდაიცვალა სოხუმის ციხის საკანში.

პატიმრის სიკვდილის მიზეზები ცნობილი გახდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, 2-3 დღეში. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ენვერ ტანიას სიკვდილის მიზეზი ის დაზიანებები გახდა, რომელიც მან დაკავებისას მიიღო. ენვერ ტანიამ დაკავებისას მილიციის წინააღმდეგობა გაუწია. ოპერაციის მსვლელობისას გამოყენებული იყო სპეციალური საშუალებები და ფიზიკური ძალა. იმ ვერსიას, რომ ენვერ ტანია მილიციასთან შეტაკების დროს მიღებული მძიმე დაზიანებების გამო გარდაიცვალა არც სოხუმის შს სამინისტროში უარყოფენ.

# რუსეთი ერთი პატიმრის შენახვა ორი ათასი დოლარი უკდება

